შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 28962

05/06/2014

აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 37^2 მუხლის მე-10 და მე-16 პუნქტების, „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 29 მაისის N165 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი შარტავა - შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რომან ბუღაძე - შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ლაშა ცხვედიანი - შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) შოთა ვალიშვილი - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ე) დინარა ჩუბინიძე - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ვ) ნინო ყველაშვილი - შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსის მოადგილე;

ზ) ლავრენტი თუთბერიძე - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს უფროსი;

თ) მანუჩარ ბაბუხადია - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მედიაციის სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი.

2. დამტკიცდეს „აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხის განმხილველი კომისიის დებულება“ (დანართი N1).

3. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა არაუგვიანეს 2014 წლის 6 ივნისისა უზრუნველყოს ელექტრონული ფოსტის/მობილური კომუნიკაციის საშუალებებით, იმ ფიზიკურ პირთა კომისიის სხდომაზე მოწვევა (გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით), რომელთაც შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზებულ აუდიტორთა შესარჩევ ტესტირებაში მიიღეს დადებითი შეფასება.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა გასაუბრებაზე უნდა წარმოადგინონ „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული №24[1] დანართით გათვალისწინებული ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე შევსებული განცხადება.

5. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ამ ბრძანების შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერზე განთავსება.

6. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების მე-3 პუნქტისა ამოქმედდეს 2014 წლის 9 ივნისიდან.

7. ამ ბრძანების მე-3 პუნქტი ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური